# კანონთა და განკარგულებათა კრებული

## ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

| 1925 წლის მაისის 15. | № 4. განყოფილება პირველი | გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ. |
|---|---|---|


### შ ი ნ ა ა რ ს ი:


მუხ. 392. 1924 წ. შემოდგომის ნაპარსი მატყლის მტკიცე ფასების შესახებ.

„ 393. ფეხსაცმლის უკიდურესი ფასების შესახებ.

„ 394. წიგნის პალატების მოვალეობის შესახებ, რათა გადასცენ ხოლმე ვ. ი. ლენინის სახელობის ს. ს. რესპუბლიკების კავშირის საჯარო ბიბლიოთეკას პირველი ორი ცალი სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოსული ყველა ბეჭდვითი გამოცემისა.

„ 395. წითელარმიელთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათის მიცემის შესახებ 1924-1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში.

„ 396. კოლექტიურ ხელშეკრულებათა იმ პუნქტების რეგისტრაციის შესახებ, რითაც დაწესებულია, რომ შვებულების შეერთება შეიძლება მხოლოდ მშრომელის თანხმობით.

„ 397. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში პარიტეტის დაცვის შესახებ.

„ 398. სტენოგრაფისტების შრომის სასყიდლის შესახებ.

„ 399. იმ ქალაქთა ნუსხის შესახებ, რომელთათვისაც სატვირთო გადასახადის უკიდურესი განაკვეთი დაწესებულია გადიდებულის რაოდენობით.

„ 400. მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 401. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ოლღა მიასნიკოვის ასულის შვილად აყვანის შესახებ.

„ 402. არყის ნაკეთობის დამატებითი აქციზის გადიდების შესახებ.

„ 403. ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის დებულების მე-6 მუხლისათვის შენიშვნის დართვის შესახებ.

„ 404. ამიერკავკასიის მრეწველობის გამოკვლევის შესახებ.

„ 405. დასვენებისა და უქმე-დღის წინა-დღეს მოსამსახურეთა მეცადინეობის წესის შესახებ.

„ 406. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ გაწეული მომსახურეობის სასყიდლისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოოთათვის არსებული შეღავათების გაუქმების შესახებ.

„ 407. ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ.

„ 408. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე 1924-1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადასახდევინებლად ერთიანი უკიდურესი ვადის დაწესების შესახებ.

„ 409. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მიერ სავაჭრო დავერების სავალდებულო წარმოების შესახებ.

მუხ. 410. კრედიტებისა და საავანსო განაცემის დაფარვის წესის შესახებ.
„ 411. კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ.
„ 412. ანგარიშის გასწორების წესის შესახებ გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების წინააღმდეგ მიმართული პრეტენზიების გამო, რაც რკინისგზით გადატანის ხელშეწერულობის მიხედვით აღძრულ იქნა 1924 წლის აპრილის 15-დე.
„ 413. საზაფხულოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ.
„ 414. ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფულ შემთხვევებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ.
„ 415. სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და კერძო პირთა მოვალეობის შესახებ, რათა ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. მეტრული სისტემის მთავარი კომიტეტების მეშვეობით მოახდინონ შეალისა და სასწორის რემონტი და რუსული საწონის მეტრულ საწონად გადაკეთება.

# დადგენილება № 31 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატისა.

(სამრეწველო ნედლეულობის სამმართველოსათვის)

1925 წლის მარტის 20.

## 392. 1924 წლის შემოდგომის ნაპარსი მატყლის მტკიცე ფასების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წლის სექტემბრის 22 თარიღითა და 15 №-ით გამოცემული დადგენილების დასამატებლად და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატას დროებითი დებულების შესახებ 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ და „ი“ ლიტერის თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი ფასები მეცხვარეებთან საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად 1924 წლის შემოდგომის ნაპარსი მატყლისათვის: თუშური მატყლი—10 მან. ფუთი, დონმა—9მან. და 50 კაპ., აღბაბისა—9 მან., განჯისა (ბოზახი)—5 მან., ლენინაკანისა (მაზეხი)—5 მან., შიხლისა (თარაქამა)—5 მან. და 50 კაპ., ყარაბაღისა—4 მან. და 40 კაპ., დაღისტნისა—10 მან., ნახჩევანისა—9 მან. და 40 კაპ., ლეკური-ზაქათლისა—8 მან., ლეკური-ნუხისა—7 მან. და 10 კაპ., ლეკური-აღდაშისა—6 მან. და 40 კაპ., და ლეკური-გოქჩისა—5 მან. და 90 კაპ.

**შენიშვნა.** აღნიშნული ფასები შეეხება ტიპიურ ჯიშისა და ნორმალურ ხარისხის მატყლს.

2. საბოლოო ანგარიშა მეცხვარეთა მიერ ჩაბარებული 1924 წლის შემოდგომის ნაპარსი მატყლისათვის ყველა სახელმწიფო დამზადებელმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციამ უნდა გაასწოროს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წლის სექტემბრის 22 ს თარიღით და 15 №-ით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და მათი ადგილობრივი ორგანოები თვალყურს ადევნებენ ამა დადგენილების სისწორით განხორციელებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

სამრეწველო ნედლეულობის სამმართველოს უფროსი **მარკარიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 839 №-ში 1925 წ. აპრილის 1-ს.

---

# დადგენილება № 33 ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

1925 წლის მარტის 28.

## 393. ფეხსაცმლის უკიდურესი ფასების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" პუნქტის თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიტი ადგენს:

1. მოსკოვის ტყავის ტრესტისა (ფაბრიკა „პარიზის კომუნა", ყოფილი—„დინგ"), ლენინგრადის ტყავის ტრესტისა (ფაბრიკა „სკოროხოდი") და სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის 1-ლი საჩვენებელი ფაბრიკა-სკოლის უმაღლესი ხარისხის ფეხსაცმლის კოოპერატიულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბითუმად მიეცემათ სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის ქ. ბაქოს საბაზისო საწყობიდან, ს. ს. რესპუბლიკების კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წლის აგვისტოს 28-ს დამტკიცებული ერთიანი პრეისკურანტის (ს. ს. რესპუბლიკების კავშირის შინავაჭრობის სახ. კომისარიატის ბიულეტენის 62 №-რის 1924 წ. ნოემბრის 25-სა) „ე" ლიტერის თანახმად შემდეგი მონაკლებით:

ა) მოსკოვის ტყავის ტრესტის (ფაბრ. „პარიზის კომუნა", ყოფ. „დინგ") ფაბრიკატებისათვის—9,5 პროცენტი;

ბ) სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის 1-ლი საჩვენებელი ფაბრიკა-სკოლის ფაბრიკატებისათვის—9,5 პროცენტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ლენინგრადის ტყავის ტრესტის (ფაბრ. „სკოროხოდი") ფაბრიკატებისათვის—8,5 პროცენტი.

2. ზემოაღნიშნული ტრესტებისა და სინდიკატის წარმოების ფეხსაცმლის ცალობით გაყიდვა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდება სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს და კოოპერაციის საგასაცემო ადგილებიდან და დუქნებიდან სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის საბაზისო საწყობის ფასით ნეტტო, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში, 21,5 პროცენტის წამატებით.

3. ა/კ. ს. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ აზერბაიჯანისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკებში დაევალებათ დაწესონ სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდგომი ცალობითი საგასაცემო ფასები ზემოაღნიშნული ტრესტებისა და სინდიკატის წარმოების ფეხსაცმლისათვის.

4. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თვალყურს ადევნებენ ამა დადგენილების სისწორით განხორციელებას.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის
მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსის
მოადგილე **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-ს 839 №-ში 1925 წლის აპრილის 1-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**394. წიგნის პალატების მოვალეობის შესახებ, რათა გადასცენ ხოლმე ვ. ი. ლენინის სახელობის ს. ს. რესპუბლიკების კავშირის საჯარო ბიბლიოთეკას პირველი ორი ცალი სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოსული ყველა ბეჭდვითი გამოცემისა.**

რადგანაც მოსკოვში არსებული ყოფილი რუმიანცევის საჯარო ბიბლიოთეკა გადაკეთებულ იქნა ვ. ი. ლენინის სახელობის ს. ს. რესპუბლიკების კავშირის საჯარო ბიბლიოთეკად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წიგნის პალატებს გადასცენ ხოლმე ვ. ი. ლენინის სახელობის ს. ს. რესპუბლიკების კავშირის საჯარო ბიბლიოთეკას პირველი ორი ცალი სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცემული ყველა ბეჭდვითი გამოცემისა.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის მარტის 30.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 845 №-ში 1925 წ. აპრილის 8-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 395. წითელარმიელთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათის მიცემის შესახებ 1924-1925 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1924 წლის აპრილის 24-ს თარიღით გამოცემული სას.-სამეურ. გადასახადის დეკრეტის მე-17 მუხლის დასამატებლად მიეცეთ წითელი არმიის მსახურთ შემდეგი შეღავათი 1924-1925 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში:

1) ზემოაღნიშნული მუხლის „ა"-პუნქტში ჩამოთვლილ პირთა ოჯახის მეურნეობა, სადაც მიწა და ოთხფეხი საქონელი სახნავზე გადატანით $^3/_4$ დესეტინაზე ნაკლებია თითო მჭამელზე, როცა ამ მეურნეობაში შრომაუნარიანი მამაკაცი არ არის, — განთავისუფლდება ნახევარი გადასახადისაგან, უკეთუ მეურნეობაში ხუთ მჭამელზე ნაკლებია; მეურნეობა, სადაც ხუთი და მეტი მჭამელია, განთავისუფლდება ნახევარი გადასახადისაგან, უკეთუ მთლად სახნავი, (გადატანით) $3^3/_4$ დესეტინაზე ნავლებია.

2) წითელარმიელის ოჯახი, რომელიც ხვნა-თესვის მეურნეობას ეწევა და შინაური მუშა საქონელი კი არა ჰყავს, განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

3) 1924 წლის აპრილის 24-ს დეკრეტის მე-17 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტში გათვალისწინებული და ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული შეღავათი გავრცელდება არმიისა და ფლოტის საკომანდო, ადმინისტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული, პოლიტიკური, სამედიცინო და საეტერინარო შედგენილობის პირთა მეურნეობაზე და აგრეთვე იმ პირთა მეურნეობაზე, რომელნიც მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტის სათადარიგო სამსახურში იმყოფებიან, განთავისუფლებულნი არიან უვადო შვებულებით და გაწვეული არიან მშრომელთა სამხედრო მომზადებისათვის და საკომანდო შედგენილობის სასწავლო შესაკრებელში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე 1925 წლის მარტის 30.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 845 №-ში 1925 წ. აპრილის 8-ს.

---

# განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წლის მარტის 30.

**396. კოლექტიურ ხელშეკრულებათა იმ პუნქტების რეგისტრაციის შესახებ, რითაც დაწესებულია, რომ შვებულების შეერთება შეიძლება მხოლოდ მშრომელის თანხმობით.**

იმ განმარტების დასამატებლად, რომელიც 1925 წლის თებერვლის 12-ს თარიღით იყო გამოცემული შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების იმ უფლების შესახებ, რომ მათ შეუძლიანთ გამოიტანონ ხელმე გადაწყვეტილება შვებულების შეერთების თაობაზე, მიუხედავად მშრომელის სურვილისა,—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიური ხელშეკრულება შეიცავს პირობას, რომლის ძალითაც შვებულების შეერთება შეიძლება მხოლოდ მშრომელის თანხმობით,—ეს პუნქტები გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში, რადგანაც ეს პუნქტები ამყარებენ ისეთ პირობებს, რაც აუმჯობესებს დაქირავებულის მდგომარეობას.

ამგვარად, იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიურ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის ნათქვამი ან როდესაც ამა თუ იმ საწარმოში ან დაწესებულებაში სრულიად არ არის კოლექტიური ხელშეკრულება,—შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას უფლება აქვს შეაერთოს შვებულება, მიუხედავად მშრომელის სურვილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიური ხელშეკრულების ძალით შვებულების შეერთება დამოკიდებულია მშრომელის თანხმობაზე,—სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს კოლექტიური ხელშეკრულება.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
სიტარიფო-საკონფლიქტო განყოფილების გამგე **მ. ლეინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 845 №-ში 1925 წლის აპრილის 8-ს.

---

# განმარტება სპ. შრომის სახ. კომისარიატისა.

1925 წლის მარტის 23.

## 397. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში პარიტეტის დაცვის შესახებ.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების გადაწყვეტილებათა ზედამხედველობის წესით დათვალიერების დროს შენიშნულია, რომ მრავალი მათგანი არ იცავს კანონით გათვალისწინებულ მხარეთა პარიტეტს, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება არ არის სათანადო ხელმოწერით შემოწმებული შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ, რომელთაგან,—მორიგეობით—ერთი ყოველთვის მუშის მხარის წარმომადგენელი უნდა იყოს, ხოლო მეორე—ადმინისტრაციისა. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ყველა შემთხვევაში უაღრეს მნიშვნელობას აძლევს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში მხარეთა თანასწორ წარმომადგენლობას და იმ საპროცესო ნორმების დაცვას, რაც უზრუნველჰყოფს საკითხის მიუდგომლად გადაწყვეტას მხარეთა შეთანხმებით, და ამის გამო წინადადებას აძლევს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს, რომელნიც განაგებენ საკონფლიქტო ორგანოების გადაწყვეტილებათათვის ზედამხედველობისა და კონტროლის გაწევის საქმეს, გააუქმონ ხოლმე შემფასებელ-საკონფლიქტო კომიტეტების ყოველი გადაწყვეტილება, რაც მიიღება პარიტეტის დარღვევით და შემოწმებულ არ იქნება სათანადო ხელმოწერით, და წინადადება მისცენ, ზედამხედველობის წესისამებრ, ამ კომისიებს ხელახლად განიხილონ საქმე კანონიერ შედგენილობაში.

ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარი **ს. იაკუბოვი.**

შრომის საქმეთა ზედამხედველობის
ბიუროს გამგე **ლ. თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 845 №-ში 1925 წ. აპრილის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმარტება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წლის მარტის 21.

## 398. სტენოგრაფისტების შრომის სასყიდლის შესახებ.

რადგანაც ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს ხშირად მიმართავენ ხოლმე შეკითხვით, თუ რა სასყიდელი უნდა მიეცეს სტენოგრაფისტებს და ნაჭრობით მუშაობისათვის მიწვეულ სხვა პირთ,—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ არ არსებობს ნამუშევარის და შრომის სასყიდლის სისწორით განსაზღვრული ნორმები, რასაც ჰქონდეს სავალდებულო საკანონმდებლო ნორმების ძალა, და რომ სტენოგრაფისტებს და ნაჭრობით მუშაობისათვის მიწველ სხვა პირთ შრომის სასყიდელი უნდა მიეცეთ მხარეთა შეთანხმებისამებრ, რომელი შეთანხმებაც მოხდება თვით მომუშავის დაქირავების დროს.

ამიერკავკასიის შრომის სახ. კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
სატარიფო-საკონფლიქტო განყ. გამგის მაგიერ **მ. ლეინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 845 №-ში 1925 წლის აპრილის 8-ს.

---

# დადგენილება № 11 ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 399. იმ ქალაქთა ნუსხის შესახებ, რომელთათვისაც სატვირთო გადასახადის უკიდურესი განაკვეთი დაწესებულია გადიდებული რაოდენობით.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

თანახმად ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 71 მუხლისაიმ ცვლილებებით, რაც შეტანილ იქნა ს. ს. რესპუბლიკების კავშირის მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. ოქტომბრის 29-ს დადგენილებით, და რაც მოღებულია ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/წ. იანვრის 19-ს,— ტფილისში, ბაქოში, ერევანში, ბათუმში, ფოთში და სოხუმში დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობის უკიდურესი განაკვეთი იმ ტვირთის საფუთო გადასახადისა, რაც შემოტანილ ან გატანილ იქნება რკინისგზით და წყალსავალი გზით:

„ა“ პუნქტისათვის—ხუთჯერ გამრავლებული, „ბ“ პუნქტისათვის—ათჯერ გამრავლებული, „გ“ პუნქტისათვის—ორმოცდაათჯერ გამრავლებული და „დ“ პუნქტისათვის—ხუთმეტჯერ გამრავლებული საფუთო, საცალო ან სავაგონო პირვანდელი სატარიფო განაკვეთი ერთ ვერსზე, რასაც ესა თუ ის ტვირთი გაივლის რკინის გზით გადაზიდვის დროს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა
საბ. საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 848 №-ში 1925 წ. აპრილის 11-ს,

---

# განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წლის აპრილის 9,

## 400. მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა და ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მიერ მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ 1925 წლის თებერვლის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის შრომის კანონმდებლობის „ვესტნიკი“ № 3) და ა/კ. შრომის სახ. კომისარიატისა და ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ დასვენების დღისა და უქმე-დღის წინა-დღეს მოსამსახურეთა მეცადინეობის შესახებ 1925 წლის მარტის 31-ს თარიღით გამოცემული განმარტების (ა/კ. შრ. სახ. კომისარიატის შრომის კანონმდებლობის „ვესტნიკი“ № 6) დასამატებლად—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს: იმის აღნიშვნა, რომ პურის საჭმელი დრო 30 წამს არ უნდა აღემატებოდეს, არ აწესებს მუშაობის ნახევარი საათით სავალდებულო შეწყვეტას. მოსამსახურეთა სამუშაო დღის ნახევარი საათით გადიდება დაწესებულია, როგორც კომპენსაცია იმ განაცდენი დროის დასაფარავად, რასაც მოსამსახურენი სამუშაო დღის განმავლობაში ფაქტიურად იყენებენ პურის საჭმელად, დასასვენებლად და სხვ. მუშაობის შეწყვეტისა ან რამდენჯერმე შეწყვეტის,—30 წამის განმავლობაში,—დრო და ხანგრძლიობა განსაზღვრულ იქნება შინაგანი განრიგების წესებით თვითეულ დაწესებულებაში ცალკე, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მუშაობის ხასიათი, თვითეული განყოფილების მოსამსახურეთა რიცხვი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით არ უნდა შესწყდეს დაწესებულების მუშაობის ნორმალური მსვლელობა და, თანაც, მუშაობის შეწყვეტის დროს სამსახურის ადგილის მიტოვება არ შეიძლება.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 848 №-ში 1925 წლის აპრილის 11-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

1925 წლის აპრილის 6.

## 401. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ოლღა მიასნიკოვის ასულის შვილად აყვანის შესახებ.

თანახმად აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობათა სურვილისა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. აყვანილ იქნეს შვილად ტრაღიკულად დაღუპულის ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის წევრისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის—ალექსანდრე თევდორეს-ძე მიასნიკოვის ასული—ოლღა.

2. ოლღა მიასნიკოვის ასულის აღზრდას, ვიდრე იგი სრულწლოვანი შეიქნებოდეს,—კისრულობს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა თავისი სახსარით.

3. ოლღა მიასნიკოვის ასულის მუდმივ სამყოფელი ადგილი და აღზრდის ადგილი არის ქ. ტფილისი.

4. აღზრდისა და შენახვის წესს და აგრეთვე საჭირო სახსარის რაოდენობას განსაზღვრავს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 848 №-ში 1925 წლის აპრილის 11-ს.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 12 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 402. არყის ნაკეთობის დამატებითი აქციზის გადიდების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—„ტკიცე სააქციზო განაკვეთის ჩერვონეცის ანგარიშით გამოხატვის შესახებ"—1923 წ. ნოემბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-IV კარის „ბ" ლიტერის მე-2 პუნქ. (ა/კ ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. მე-13 №-რი, მუხ. 248) შესაცვლელად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს არყის ნაკეთობაზე დამატებითი აქციზი თოთხმეტი მანეთის რაოდენობით ვედროზე ან ერთი მან. და თოთხმეტი კაპ. რაოდენობით ლიტრზე ძირითადი აქციზის ზედმეტად—პურეული სპირტისათვის ოცდაათი კაპ. რაოდენობით გრადუსზე და ჭაშის სპირტისათვის ხუთი კაპ. რაოდენობით გრადუსზე, რასაც აღნიშნული არყის ნაკეთობა შეიცავს.

2. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარს დაევალება გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმას. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აპრილის 2.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 852 №-ში 1925 წ. აპრილის 16-ს.

---

# დადგენილება № 14 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 403. ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის დებულების მე-6 მუხლისათვის შენიშვნის დართვის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის დებულების (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 156) მე-6 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა.** ამა დადგენილების მე-6 მუხლში ჩამოთვლილი მებამბეობის მრეწველობის საწარმონი, რომელნიც ეკუთვნიან კოოპერატიულ ორგანიზაციებს, გადაეცემიან ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს სასყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით კომიტეტისა და სათანადო კოოპერატიული ორგანიზაციის ნებაყოფლობითი შეთანხმებისამებრ სასყიდლის რაოდენობის შესახებ. უკეთუ ნებაყოფლობითი შეთანხმება არ მოხდა, ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს აქვს იძულებითი ჩამორთმევის უფლება იმ შეფასებით, რაც განსაზღვრულ იქნება ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ.
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. ალმ. **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 852 №-ში 1925 წლის აპრილის 16-ს

---

# დადგენილება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი.

## 404. ამიერკავკასიის მრეწველობის გამოკვლევის შესახებ.

1. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წლის მარტის 17-ს თარიღითა და მე-8 №-ით გამოცემული დადგენილების თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მოახდენს ამიერკავკასიის მრეწველობის გამოკვლევას 1923—1924 სამეურნეო წლისათვის და შრომის ნაყოფიერებისა და შრომის ხელფასის გამოკვლევას 1923—1924 სამეურნეო წლისათვის და 1924—1925 სამეურნეო წლის პირველი ნახევრისათვის.

2. გამოკვლევა მოხდება მთლად ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1925 წლის აპრილისა და მაისის განმავლობაში და დასრულდება 1925 წლის ივნისის 1-სათვის.

3. მრეწველობის გამოკვლევა შეეხება ამომღები და დამმუშავები მრეწველობის დიდსა და საშუალო (საცენზო) დაწესებულებებს; ამასთანავე შრომის ნაყოფიერების დინამიკისა და შრომის ხელფასის გამოკვლევა მოხდება მრეწველობის მთავარი დარგების ტიპიურ დაწესებულებებში.

4. უშუალო ხელმძღვანელობა ადგილობრივ საამრეწველო დაწესებულებათა გამოკვლევისათვის,—ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმისა, პროგრამისა და ხარჯთაღრიცხვის თანახმად,—დაევალებათ რესპუბლიკათა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს.

ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური
სამმართველოს მმართველი **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 853 №-ში 1925 წ. აპრილის 17-ს.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და აკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისა.

1925 წლის მარტის 31.

**405. დასვენებისა და უქმე-დღის წინა-დღეს მოსამსახურეთა მეცადინეობის წესის შესახებ.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომ. მიერ მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის შესახებ 1925 წლის თებერვლის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დასამატებლად ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი განმარტავენ, რომ თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 113 მუხლისა მოსამსახურეთა მუშაობა შრომის კანონთა კოდექსის 109-111 მუხლში აღნიშნული ყველა უქმე-დღესა და დასასვენებელი დღის წინა-დღეს არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს საათს და უნდა გათავდეს დღის 15 საათზე, იმ პირობით კი, რომ მუშაობა ასეთ დღეს განუწყვეტლივ სწარმოებდეს.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის
სახალხო კომისარი **ა. ნაზარეთიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 853 №-ში 1925 წლის აპრილის 17-ს.

---

# ცირკულარი აკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—აკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფედერალურ ფემავალი რესპუბლიკეგის სახალხო კომისართა საბჭოებს და გაერთიანებულ უწყებათა სახალხო კომისარიატებს.

**406. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ გაწეული მომსახურეობის სასყიდლისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის არსებული შელავათების გაუქმების შესახებ.**

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო წესით დამყარებულია ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის მიერ გაწეული მომსახურეობისათვის სასყიდლის გადახდა და გაუქმებულია ის შელავათი, რაც წინად მიეცა ზოგიერთ დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებას და ორგანიზაციას, ამერიკავკასიის კავშირგაბმულობის ოლქის კანონიერ მოთხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მიერ გაწეული მომსახურეობის სასყიდლის გადხდის შესახებ ზოგიერთი სახელმწიფო ორგანო არა თუ დაგვინებით ასრულებს, არამედ ზოგჯერ სრულიადაც არ ასრულებს.

სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ამგვარი მოქმედება აფერხებს ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის მუშაობას, იგი ეწინააღმდეგება საბჭოთა აღმშენებლობისა და მმართველობის პრინციპებს და ამიტომ ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ორგანიზაცია ვალდებულია გადაიხადოს სათანადო სასყიდელი ყოველგვარი საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო მომსახურეობისათვის იმ ვადაზე, რაც დადგენილია ამერიკავასიის კავშირგაბმულობის ოლქის მიერ.

მოთხოვნა საფოსტო კორესპონდენციის უსასყიდლოდ ან ნისიად გაგზავნისა და აგრეთვე სატელეგრაფო და სატელეფონო მომსახურეობის უსასყიდლოდ ან ნისიად დათმობის შესახებ—უკანონოა.

ამერიკავკასიის კავშირგაბმულობის ოლქს უფლება ეძლევა მოხსნას ქსელიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების ტელეფონი მას შემდეგ, რაც არაპირიან მომხმარებელს წინასწარ წერილობით ორჯერ გააფრთხილებს; პირველსა და მეორე გაფრთხილებას შორის ორმა კვირამ უნდა გაიაროს; ამასთანავე კავშირგაბმულობის ოლქი შვიდი დღით ადრე ტელეფონის ფაქტიურად მოხსნამდე აცნობებს ამის შესახებ სახალხო კომისარიატს ან ცენტრალურ სამმართველოს, რომლის გამგებლობაშიაც არაპირიანი გადამხდელი დაწესებულება იმყოფება.

რეპრესიული ღონისძიების მიღება ფოსტა-ტელეგრაფის უწყების იმ თანამშრომლის მიმართ, რომელიც კანონიერ განკარგულებას ასრულებს, დევნილ იქნება კანონისამებრ.

გთხოვთ სათანადო განკარგულება მისცეთ თქვენს ქვემდებარე დაწესებულებათ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ხოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 856 №-ში 1925 წლის აპრილის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 16 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 407. ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ.

რათა სისწორით აღნუსხულ იქნენ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი სავაჭრო საწარმონი და რათა მათ მეთვალყურეობა გაეწიოს, აგრეთვე იმ მიზნით, რათა კოლექტიურ საწარმოთ მიეცეთ იურიდიული პირის უფლება,— ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი სავაჭრო რეესტრი, რომლის წარმოებაც დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

2. ა/კ, ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაეკისრება სავაჭრო რეესტრის ცენტრალური ნაწილის წარმოება, ხოლო ამავე კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—სავაჭრო რეესტრის რესპუბლიკანური ნაწილის წარმოება და სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტების შინა-ვაჭრობის განყოფილებათ—სავაჭრო რეესტრის სამაზრო (ადგილობრივი) ნაწილის წარმოება.

**შენიშვნა.** რეგისტრაციაში გატარებულ უნდა იქნეს ყველა არსებული და ახლად მოწყობილი სავაჭრო საწარმო.

3. სავაჭრო რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს ცნობები შემდეგ სავაჭრო საწარმოთა შესახებ:

ა) ყოველგვარი სახელმწიფო და მუნიციპალური სავაჭრო საწარმო და ამ საწარმოთა შენაერთი: ტრესტი, სინდიკატი, კომბინატი და სხვ., აგრეთვე დაწესებულების სავაჭრო განყოფილება;

ბ) ს. ს. რესპუბლიკების კავშირისა ან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობის გარეშე მყოფი რესპუბლიკის სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა და მათი შენაერთისა, ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებათა, შერეულ საზოგადოებათა და სხვ. წარმომადგენლობა;

გ) კოოპერატიული ორგანიზაციები და მათი კავშირი;

დ) ბანკი, საკრედიტო დაწესებულება, საკრედიტო ამხანაგობა და ლომბარდი;

ე) სააქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა);

ვ) შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა;

ზ) სრული ამხანაგობა და ნდობის ამხანაგობა;

თ) სავაჭრო და წარმოებითი არტელები და მათი შენაერთი, აგრეთვე კერძო პირი, რომელიც აწარმოებს ვაჭრობას და ის მონაწილენი, რომელნიც შეადგენენ მარტივ ამხანაგობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) წარმომადგენლობა იმ უცხოეთის საწარმოსი, რომელსაც ნებადართული აქვს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სავაჭრო ოპერაციების წარმოება.

**შენიშვნა** 1. სმრეწველო საწარმო, სადაც მუშა ხელი 6-ზე მეტი იქნება მამოძრავებელით და 12-ზე მეტი უმამოძრავებლოდ,—ჩითვლება სავაჭრო საწარმოდ.

**შენიშვნა** 2. რეგისტრაციისაგან განთავისუფლდება მე-3 კატეგორიაზე დაბალი სავაჭრო საწარმო.

4. ა/კ. ს ფ. ს. რესპუბლიკის ამა თუ იმ სახალხო კომისარიატის უშუალო გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სავაჭრო საწარმონი და მათი შენაერთი, ბანკი, საკრედიტო დაწესებულება და კოოპერატიული კავშირი, რომლის მოქმედების რაიონიც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაა, სააქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა) და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, უკეთუ მათი დებულება და წესდება დამტკიცებულია ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მიერ, და აგრეთვე ს. ს. რესპუბლიკების კავშირისა ან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობის გარეშე მყოფი რესპუბლიკის სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა და მათი შენაერთისა, ბანკებისა, საკრედიტო დაწესებულებათა, შერეულ საზოგადოებათა და სხვ. განყოფილება და წარმომადგენლობა გატარებულ იქნებიან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეგისტრა/ციაში და ცნობები მათ შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სავაჭრო რეესტრის ცენტრალური ნაწილის პირველ კარში.

**შენიშვნა**. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში გატარებულ უნდა იქნეს აგრეთვე წარმომადგენლობა იმ უცხოეთის საწარმოსი, რომელსაც ნებადართული აქვს ს. ს. რესპუბლიკების კავშირში სავაჭრო ოპერაციების წარმოება და ცნობებიც მის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სავაჭრო რეესტრის ცენტრალური ნაწილის პირველ კარში.

5) ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და აგრეთვე ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო კომისარიატების უშუალო გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სავაჭრო საწარმონი და მათი შენაერთი, ბანკი, საკრედიტო დაწესებულება და კოოპერატიული კავშირი, რომლის მოქმედების რაიონიც ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაა, სააქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა) და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, უკეთუ მათი დებულება და წესდება დამტკიცებულია სათანადო რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მიერ,—გატარებულ უნდა იქნენ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს (სათანადო რესპუბლიკაში) რეგისტრაციაში და ცნობები მათ შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სავაჭრო რეესტრის რესპუბლიკანური ნაწილის პირველ კარში.

6. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ან სხვა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოს გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სავაჭრო საწარმონი და მათი შენაერთი, მუნიციპალური ბანკი, საკრედიტო ამხანაგობა, ლომბარდი,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პირველი საფეხურის კოოპერატივი, მუნიციპალური სავაჭრო საწარმო, სრული ამხანაგობა და ნდობის ამხანაგობა, სავაჭრო და წარმოებითი არტელი, აგრეთვე მარტივი ამხანაგობის მონაწილე და ცალკე პირი, რომელიც, მიუხედავად ქვეშევრდომობისა, ვაჭრობას აწარმოებს,—გარტარებულ უნდა იქნენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის შინა ვაჭრობის განყოფილების რეგისტრაციაში საწარმოს სამყოფელი ადგილის მიხედვით.

**შენიშვნა.** ცნობები ამა მუხლში გათვალისწინებულ იურიდიულ პირთა შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სამაზრო (ადგილობრივი) სავაჭრო რეესტრის პირველ კარში.

7. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა განსაკუთრებული დადგენილებით და ინსტრუქციებით განსაზღვროს წესი და ვადა ამა დნდგენილების 4, 5 და 6 მუხლში აღნიშნულ სავაჭრო საწარმოთა რეგისტრაციისა, ნუსხა სავაჭრო რეესტრში შეტანილ ცნობებისა, აგრეთვე წესი ამ ცნობების წარდგენისა და ვადა მათი პუბლიკაციისა.

8. ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელნი, რომელნიც ვადაზე არ წარადგენენ სავაჭრო რეესტრში შესატან ცნობებს, ან წარადგენენ არა-სწორ ცნობებს,— მიიცემიან პასუხისგებაში სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

9. რეგისტრაციაში გასატარებელ საწარმოს უფლება ეძლევა ორი კვირის განმავლობაში განასაჩივროს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის შინა-ვაჭრობის განყოფილების დადგენილება სავაჭრო რეესტრში ჩაწერის ან არ-ჩაწერის შესახებ; აგრეთვე საწარმოს უფლება ეძლევა რწმუნებულის ამგვარივე დადგენილება იმავე ვადაზე განასაჩივროს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

10. სარეწავი მოწმობის მიმცემი ყველა დაწესებულება ვალდებულია ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დაწესებულ ვადაზე აცნობს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოს, თუ სად უნდა მოხდეს, საწარმოს ხასიათის მიხედვით, რეგისტრაცია. აცნობოს აგრეთვე იმ ფირმის სახელწოდება და მისამართი, რომელსაც სარეწავი მოწმობა მიეცა, და ამ მოწმობის კატეგორია—თანახმად ამა დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 შენიშვნისა.

11. ყველა მსურველს უფლება აქვს მიიღოს ამონაწერი და აგრეთვე დაათვალიეროს სავაჭრო რეესტრი და დოკუმენტები, რაზედაც დამყარებულია ჩანაწერი.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისარიათა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა
საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის აპრილის 2.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 856 №-ში 1925 წ. აპრილის 22-ს

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 17 ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

**408.** **ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპ. ტერიტორიაზე 1924-1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადასახდევნებლად ერთიანი უკიდურესი ვადის დაწესების შესახებ.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1924-1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა მიერ, როგორც ძირითადი გადასახადისა, ისე მისი ზედნართის შესატანად დაწესებულ იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკიდურესი ვადა— 1925 წლის აპრილის 1-ლი.

2. 1924-1925 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შენაწერი, რომელიც 1925 წლის აპრილის 1-სათვის შეტანილ არ იქნება, ჩაითვლება ნარჩენად, რასაც მიერიცხება საურავი გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულების მე-6 მუხლის წესისამებრ, ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის მარტის 3-ს დადგენილების (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 3, მუხ. 50) რედაქციის მიხედვით.

3. 1925 წლის აპრილის 1-დე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საურავი გადასახადის კერძო ვადებზე შეუტანლობისათვის გადამხდელთ არ უნდა გადაეხდეთ; ხოლო გადახდევინებული საურავი ჩათვლილ უნდა იქნეს გადასახადში; იმ გადამხდელს კი, ვინც გადასახადი სრულიად შეიტანა, დაებრუნება საურავად გადახდევინებული თანხა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ.
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ.
კომისართა საბჭოს სქმეთა მმართვ. თანამდ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აპრილის 12.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 856 №-ში 1925 წ. აპრილის 22-ს.

---

# დადგენილება № 13 ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

**409.** **სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მიერ სავაჭრო დავთრების სავალდებულო წარმოების შესახებ.**

სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა სავაჭო ბრუნვის მოსაწესრიგებლად, საკომერციო კრედიტის უზრუნველსაყოფად და სწორი ანგარიშგების დასამყარებლად—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ყველა სავაჭრო საწარმო, არა უმდაბლეს მე-3 კატეგორიისა, და ყველა სამრეწველო საწარმო, არა უმდაბლეს მე-4 კატეგორიისა, ვალდებულია აწარმოოს შემდეგი სავაჭრო დავთრები და თანაც დაიცვას ანგარიშგების წესები:

ა) მე-3 კატეგორიის სავაჭრო საწარმო ვალდებულია აწარმოოს: საკასო დავთარი (უნდა ჩაიწეროს ყოველდღიური ანაღები და ხარჯი).

**შენიშვნა.** საკასო დავთარს არ აწარმოებენ მე-3 კატეგორიის შემდეგი საწარმონი.

1. საწარმო, რომელიც ვაჭრობას ეწევა მოძრავ ან მცირე მუდმივ სადგომში (კიოსკი, ხუდა, ფარდული, კარავი, კუთხე).

2. საწარმონი, რომელნიც ჩამოთვლილ არიან მე-3 კატეგორიის სავაჭრო საწარმოთა ნუსხის 1, 4, 5, 12 და 13 მუხლში, უკეთუ ეს საწარმონი სოფლად მდებარეობენ და დაქირავებული მოსამსახურენი არა ჰყავთ.

3. სხვის დაუბმარებლად მომქმედი საწარმო შრომისა და ომის ინვალიდებისა, რომელთაც თვიანთი ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლიანთ დამოუკიდებლად აწარმოონ ჩაწერვა.

ბ) მე-4 კატეგორიის სავაჭრო საწარმო ვალდებულია აწარმოოს: საკასო, სასაქონლო და საინვენტარო დავთარი და აგრეთვე ანგარიშგასწორების დავთარი (სხვადასხვა პირისა და დაწესებულებისათვის და აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებისათვის ანგარიშის გასასწორებლად);

გ) მე-4 და მე-5 კატეგორიის სამრეწველო საწარმო, გარდა აღნიშნული დავთრებისა, აწარმოებს აგრეთვე მატერიალურ დავთარსაც.

2. მე-5 კატეგორიის სავაჭრო საწარმო და მე-6 კატეგორიისაზე არა დაბალი სამრეწველო საწარმო ვალდებულია ანგარიშწარმოება იქონიოს ორმაგი იტალიური ბუხჰალტერიის სისტემით.

**შენიშვნა.** 1-ლი და მე-2 მუხლის წესები არ გაანთავისუფლებს სავაჭრო და სამრეწველო საწარმოს უფრო რთული ანგარიშგების წარმოებისაგან, უკეთუ ასეთი ანგარიშგება დაწესებულია მათთვის სპეციალური დებულებით და წესებით.

3. სავაჭრო დავთარი საწარმოს პატრონის შეხედულებისამებრ წარმოებულ იქნება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე. შიფრის ხმარება აკრძალულია.

4. სავაჭრო დავთარში არ უნდა იყოს ამოფხეკილი ადგილი ან წაშლილი და გასწორებული, არ უნდა იყოს აგრეთვე ჩანაწერი სტრიქონს ზევით ან სტრიქონს ქვეეით; გასასწორებელი სიტყვა თუ ციფრი წაიშლება წვრილი ხაზით და ხაზის ზემოდ გაკეთდება შენიშვნა, რითაც გასწორდება ნაწერის წანაცდენი ან შეცდომა და რასაც ხელს მოაწერს შენიშვნის გამკეთებელი პირი. წაშლა და შენიშვნა უნდა გაკეთდეს წითელი მელნით. უკეთუ წანაცდენი ან შეცდომა მაშინვე ვერ იქნა შემჩნეული და ამის გამო შენიშვნა, ზემოაღნიშნული წესით, თავის დროზე არ გაკეთდა, დავთარში შეტანილ უნდა იქნეს განსაკუთრებული მუხლი იმ დღესვე, რა დღესაც წანაცდენი თუ შეცდომა აღმოჩენილ იქნა.

5. სავაჭრო დავთარი აკინძული უნდა იყოს, ხოლო გვერდები დანომრილი. დავთრის ბოლოს აღნიშნულ უნდა იქნეს, პატრონის ან მის მიერ საამისოდ; რწმუნებული პირის ხელმოწერით, გვერდების საერთო რიცხვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. იმ საწარმოს სავაჭრო დავთარი, რომელიც ვალდებულია ანგარიშწარმოება ორმაგი ბუხჰალტერიის სისტემით იქონიოს (მუხ. 2), გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში ქვემოაღნიშნული წესისამებრ.

7. სავაჭრო დავთარი (უკანასკნელი ჩანაწერის შემდეგ), გამამართლებელი დოკუმენტები და აგრეთვე გასული კორესპოდენციის ასლი და შემოსული საქმიანი კორესპონდენციის დედანი უნდა ინახებოდეს საწარმოში სამს წლიწადს.

8. საოპერაციო პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს. სამი თვის გასვლის შემდეგ საოპერაციო ხანის დასრულებისას, უკეთუ დაწესებულ არ იქნება სხვა უფრო მოკლე ვადა, მე-2 მუხლში აღნიშნული ყველა სავაჭრო და საბრეწველო საწარმო ვალდებულია შეადგინოს წლიური ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს დაწვრილებითი ბალანს მოგებისა და ზარალის გამოანგარიშებით. ანგარიშს ხელს მოაწერენ შემდგენელი და, ამის გარდა, საწარმოს სათავეში მდგომი პირნი, მაგალითად: ერთპიროვანი გამგე ან პატრონი, ყველა სრული ამხანაგი, სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის გამგეობა და სხვ.

9. უკეთუ სავაჭრო დავთრები, გამამართლებელი დოკუმენტები და საქმიანი კორესპონდენცია დაიღუპა ან დაიკარგა, საწარმოს პატრონი ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში განუცხადოს ეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს. უკეთუ აღნიშნული ორგანო დარწმუნდება, რომ განცხადება სამართლიანია, იგი მისცემს საწარმოს პატრონს სათანადო მოწმობას.

10. კონტროლის გაწევა სავაჭრო დავთრების წარმოების სისწორისათვის, თანახმად ამა დადგენილებისა, დაეკისრება ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის ორგანოებს. კონტროლის უფლება აქვს აგრეთვე ფინანსთა ინსპექტორს, რომელიც აწარმოებს საწარმოს რევიზიას სარეწავი გადასახადისა და საღერბო გამოსაღების სისწორით გასტუმრების სფეროში.

11. სავაჭრო საწარმო მე-5 კატეგორიისა და სამრეწველო საწარმო არა უმდაბლეს მე 6 კატეგორიისა ვალდებულ არიან „მთავარი“ და „ანგარიშგასწრების“ დავთარი, ვიდრე ხმარებას დაიწყებდენ, წარადგინონ სარეგისტრაციოდ.

რეგისტრაციის მოხდენა დაეკისრება შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს, სადაც თვით საწარმო რეგისტრაციაქმნილია.

12. 1-ლ მუხლში აღნიშნული დავთარი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და დაბეჭდილი, რისთვისაც ზონარის ბოლოები მიბეჭდილ უნდა იქნეს იმ დაწესებულების ლუქის ბეჭდით, რომელიც რეგისტრაციას მოახდენს. რეგისტრაციის აღნიშვნა მოხდება ამასთანავე დართული 1 №-ის ფორმის მიხედვით.

13. რეგისტრაციის მქნელი დაწესებულება მოახდენს რეგისტრაციას არა უგვიანეს სამი დღისა სავაჭრო დავთრის სარეგისტრაციოდ წარდგენის დღიდან და ვალდებულია აწარმოოს „სავაჭრო დავთართა რეგისტრი“ ამასთანავე დართული მე-2 №-ის ფორმის მიხედვით.

14. დავთრების რეგისტრაცია არ დაიბეგვრება არავითარი გამოსაღებით.

15. მე-12 მუხლში აღნიშნული საწარმონნი, რომელთაც დავთრის ხმარება ამა დიდგენილების გამოქვეყნებამდე დაუწყიათ, ვალდებულ არიან წარადგინონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დავთარი რეგისტრაციისთვის ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

16. ამა დადგენილების დარღვევისთვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმასრულებელი **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აპრილის 2.

## დ ა ნ ა რ თ ი.

**დადგენილებისა იმ საწარმოთა დავთრების რეგისტრაციის წესის შესახებ, რომელნიც ვალდებულ არიან ანგარიშწარმოება ორმაგი ბუხჰალტერიის სისტემით აწარმოონ.**

## ფ ო რ მ ა № 1.

**სავაჭრო დავთრების რეგისტრაციის აღნიშვნა.**

(საწარმოს სახელწოდება) . . . . . ამა „მთავარ“ ან „ანგარიშგასწორების“ დავთარში 192 . . . . წლისათვის დანომრილია, ზონარგაყრილი და დაბეჭდილია . . . . . გვერდი. დავთარი რეგისტრაციაქმნილია (დაწესებულების სახელწოდება) . . . . . 192 . . . . წლის (თვე და რიცხვი) . . . . . №. . . . . .

ხელის მოწერა და ლუქის ბეჭედი ზონარზე.

## ფ ო რ მ ა № 2.

**სავაჭრო დავთართა რეესტრი.**

| №№ | ნომერი | თვე და რიცხვი. | სახელწოდება საწარმოსი, რომლის დავთრებიც უნდა გატარებულ იქნეს რეგისტრაციაში. | დავთრის სახელწოდება. | ხელის მოწერა იმ პირისა, რომელმაც ხელი მოაწერა აღნიშ. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 15 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 410. კრედიტებისა და საავანსო განაცემის დაფარვის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის მაისის 10-ს თარიღითა და 46 № ით და 1924 წლის თებერვლის 1-ლის თარიღითა და 4/129 №-ით გამოცემულ დადგენილებათა გასაუქმებლად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში გახსნილი კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს მარტოოდენ უწყვეტი პირდაპირი ასიგნობით, რაც გამოწერილ იქნება ხაზინის პირდაპირი კრედიტორის სახელზე.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც საერთო წესის (მუხ. 1-ლი) გამონაკლისი, შეიძლება კრედიტი დაფარულ იქნეს საავანსო ასიგნობით მარტოოდენ ისეთი გადასახდელის გასასტუმრებლად, რომლის გამოც ხაზინის პირდაპირი კრედიტორის უშუალოდ გამოცხადება ა/კ. ფინანსთა სახ. კომისატიატის სალაროში დაკავშირებულია რაიმე დიდ სიძნელესთან ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორმა უნდა გასცეს თანხა დაახლოებითი ანგარიშით, და თანაც ვალდებულია წარადგინოს დაწესებული ანგარიში ავანსად გაცემული თანხისა.

3. წინა(მე-2) მუხლთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ამაერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ერთად, დაევალება შეადგინოს ავანსის გაცემის წესები და ნუსხა იმ სახარჯთაღრიცხვო დანაწილებათა, საიდანაც განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გაცემულ იქნეს ავანსი, და თანაც აღინიშნოს უკიდურესი თანხა ან პროცენტი სახარჯთაღრიცხვო ნაწილისა თვითეული ხარჯთაღრიცხვისათვის ცალკე.

4. კრედიტის განმკარგულებელი ვალდებულია საავანსო განაცემის გამოყენება შეუფარდოს ნამდვილ და სასწრაფო საჭიროებას, თანხმად ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მიცემული ინსტრუქციისა, და სრულიად პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ შედეგისათვის, რაც მოსალოდნელია, უკეთუ ავანსის გაცემის საქმეში არ იქნება დაცული სათანადო სიფრთხილე, და აგრეთვე ვალდებულია თვალყური ადევნოს, რათა ავანსის მიმღებმა სისწორით შეასრულოს საკასო ოპერაციების წესები ავანსების შენახვისა და დახარჯვის შესახებ.

5. ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სალაროს მიერ სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს თანამდებობის პირთათვის სახ. ბიუჯეტის სახარჯთაღრიცხვო კრედიტიდან დამმზადებელი, სააღმშენებლო და საოპერაციო ხარჯებისათვის მიცემული ავანსის ის ნაწილი, რომელიც სასწრაფოდ არ დაიხარჯება, შეტანილ უნდა იქნეს მარტოოდენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში სახელდახელო ანგარიშზე შესანახად. ხოლო საწარვლინებო, საკანცელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიო და მცირე სამეურნეო ხარჯებისათვის საავანსო ასიგნობით მიღებული თანხის სახელდახელო ანგარიშზე ბანკში შეტანა აკრძალულია დაწესებულების ხელმძღვანელისა და ადმინისტრატიულ პირთა პირადი პასუხის მგებლობით.

6. საავანსო ასიგნობით მიღებული თანხა, რაც პირდაპირი დანიშნულებისათვის არ იქნება დახარჯული, განსაზღვრული ვადის გასვლისას შეტანილ უნდა იქნეს, შვიდი დღის განმავლობაში, უკანვე ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში, რათა აღდგენილ იქნეს სათანადო კრედიტი ფაქტიურად არ-დახარჯული ნაშთის რაოდენობისა.

7. იმ კრედიტთა ჯგუფს, რაც დაფარულ უნდა იქნეს პირდაპირ ასიგნობათა წესით, მიეკუთვნება აგრეთვე სოციალური დაზღვევისათვის და სამუშაო ხელფასისათვის მიღებული კრედიტი იმ პირობით კი, რომ კრედიტის განმკარგულებელმა კრედიტის მიღების დროს წარადგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში შემოწებული ასლი სასყიდელთა ნუსხისა.

8. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოთ 1925 წლის აპრილის 1-დან.

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წ. აპრილის 2.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 857 № ში 1925 წ. აპრილის 23-ს.

---

# დადგენილება № 18 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 411. კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემოდ აღნიშნული წესები იმ სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა და სააქციო საზოგადოებათა ბალანსების განხილვისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მარტოოდენ სახელმწიფო კაპიტალი.

1. სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმონი და მათი შენაერთი, რომელიც კომერციულ ანგარიშზე იმყოფება და ექვემდებარება როგორც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურ-

ნეობის უმაღლეს საბჭოებს, ისე გაუერთიანებელ რესპუბლიკანურ სახალხო კომისარიატს ან საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საალქცო საზოგადოება, რომლის აქციონერებად არიან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები (ან მათი ქვემდებარე საწარმონი),—თავის ბალანსს წარუდგენენ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სათანადო სახალხო კომისარიატს ან აღმასრილებელ კომიტეტს და ერთ ცალს—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს სამი თვისა საოპერაციო წლის დასრულების შემდეგ.

2. ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედი ყველა სახელმწიფო სავაჭრო და სემრეწველო საწარმო და ასეთ საწარმოთა შენაერთი თავის ბალანსს წარუდგენს: ერთ ცალს—იმ დაწესებულებას, რომელსაც ექვემდებარება და მეორეს—ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს—არა უგვიანეს სამი თვისა საოპერაციო წლის დასრულების შემდეგ.

**შენიშვნა.** ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედ სააქციო საზოგადოებად ჩაითვლება ისეთი საზოგადოება, რომლის აქციონერებად არიან გაერთიანებული სახალხო კომისარიატები და გაუერთიანებელი სახალხო კომისარიატები ორი ან მეტი რესპუბლიკისა (ან და საწარმონი, რომელნიც ექვემდებარებიან აღნიშნულ სახალხო კომისარიატებს).

3. ყველა სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმო ვალდებულია ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოთხოვნით წარადგინოს ყოველგვარი საჭირო ახსნა-განმარტება ანგარიშგების შესახებ, აგრეთვე ცნობა და დამატებითი განმარტება, როგორც წერილობითი შეკითხვის გამო, ისე საწარმოს მდგომარეობის ადგილობრივ გამოკვლევის დროს.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა ბალანსების განხილვა და დამტკიცება, კომერციული მოქმედების შედეგების განსაზღვრა, მოგების განაწილება და ზარალის დაფარვა მოხდება ცალკე კომისიის მიერ, რომელიც რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭოს დადგენილებით მოეწყობა სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან.

კომისიის შედგენილობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით შევლენ თითო წარმომადგენელი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისა და პროფ. კავშირთა ცენტრალური შენაერთისა, აგრეთვე წარმომადგენელი ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ვისაც ეს უკანასკნელი დანიშნავს, და წარმომადგენელი იმ უწყებისა, რომლის საწარმოს ბალანსიც უნდა იქნეს განხილული.

**შენიშვნა.** 1. კომისიის თავმჯდომარედ იქნება ერთ-ერთი წევრი, ვისაც რესპუბლიკანური ეკონომიური საბჭო დანიშნავს.

**შენიშვნა** 2. თავისი მუშაობისათვის კომისია გამოიყენებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აპარატს.

5. ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედ საწარმოთა ბალანსების განხილვა და დამტკიცება, კომერციული მოქმედების შედეგების განსაზღვრა, მოგების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილება და ზარალის დაფარვა მოხდება ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატთან დაარსებული კომისიის მიერ.

კომისიის შედგენილობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით შევლენ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, სახელმწიფო შემოსავალთა სამმართველოს სახით, და თითო წარმომადგენელი ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისა, ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსი და იმ უწყებისა, რომლის საწარმოს ბალანსიც უნდა იქნეს განხილული.

**შენიშვნა.** კომისიის საქმეთა გამგებლობა დაეკისრება ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სახელმწიფო შემოსავალთა სამმართველოს.

6. მე-4 და მე-5 მუხლში აღნიშნული კომისიების დადგენილება, უკეთუ იგი ერთხმად არის მიღებული ყველას მიერ, საბოლოოდ ჩაითვლება და სავალდებულოა სათანადო საწარმოსათვის და იმ დაწესებულებისათვის, რომელსაც ეს საწარმო ექვემდებარება. უკეთუ გადაწყვეტილება ერთხმად არ იქნება მიღებული, კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია საკითხი, რომლის გამოც შეთანხმება ვერ მოხდა, ორი კვირის განმავლობაში დღიდან კომისიის სხდომისა, გადაიტანოს საბოლოო გადასაწყვეტად სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოში და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში—კუთვნილებისამებრ—და თანაც წარადგინოს ორივე მხარის დასაბუთებული მოსაზრებანი.

7. ბალანსი გამოქვეყნდება, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის ნოემბრის 18-ს თარიღითა და 61 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 8, მუხ. 280) წესისამებრ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დამტკიცებულ იქნება ამა დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლით გათვალისწინებულ კომისიებში.

**შენიშვნა.** ზედამხედველობა ანგარიშგებისა და ბალანსის თავის დროზე წარდგენისათვის და მათი გამოქვეყნებისათვის დაეკისრება ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს. ბალანსებისა და საამისო საჭირო მასალის ვადაზე წარუდგენლობისათვის საწარმოს ხელმძღვანელი და მთავარი ბუღჰალტერი მიიცემიან პასუხისგებაში ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

8. საწარმოს მოგების განაწილებისათვის სახელმძღვანელოდ გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი საორიენტაციო ნორმები და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამეურნეო და ფინანსიური მდგომარეობა თვითეული საწარმოსი:

ა) სახელმწიფო სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს მოგებიდან გადაირიცხება ხაზინის შემოსავლად 70%-დე; სარეზერვო კაპიტალში-არა ნაკლებ 20 %-სა, ვიდრე ეს კაპიტალი არ მიაღწევს საწესდებო კაპიტალის 50%-ს, და მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში—10%-დე.

ბ) საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოს მოგებიდან გადაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში—50%-დე, სათანადო კომუნალური საწარმოს სარეზერვო კაპიტალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში არა ნაკლებ 20 %-სა, ადგილობრივ ბიუჯეტის სამრეწველო ფონდში—20 %-დე და მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში—10 %-დე.

**შენიშვნა.** სამრეწველო ფონდი და მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი შეიქმნება, შეინახება და დაიხარჯება იმ წესით, რაც გათვალისწინებულ იქნება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამ საგანზე გამოცემული სპეციალური დადგენილებით.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმასრულებ. **ნ. სოკოლხკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის აპრილის 2.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 858 № ში 1925 წ. აპრილის 24-ს.

---

# დადგენილება № 20 ა/კ ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

**412. ანგარიშის გასწორების წესის შესახებ გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების წინაალმდეგ მიმართული პრეტენზიების გამო, რაც რკინის გზით გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით აღძრულ იქნა 1924 წლის აპრილის 15-დე.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კოოპერატიული ორგანიზაციისა და კერძო პირის პრეტენზია, რომელიც რკინისგზით გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით აღძრულია 1923 წლის ოქტომბრის I-დე, და რომლის ლიკვიდაციაც არ მომხდარა ამა დადგენილების ძალაში შესვლამდე,—გამოიხატება ოქროს ანგარიშით ჩერვონეცის იმ კურსის მიხედვით, რაც იყო 1923 წლის ოქტომბრის I-ს.

2. სახელმწიფო ორგანოს, კოოპერატიული ორგანიზაციისა და კერძო პირის პრეტენზია, რომელიც მტკიცე ვალიუტად გამოხატული არ არის, და რომელიც, რკინის გზით გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით, არის აღძრული 1923 წლის ოქტომბრის 1-დან 1924 წლის აპრილის 15-დე, ხოლო რომლის ლიკვიდაციაც არ მომხდარა ამა დადგენილების ძალაში შესვლამდე,—გამოიხატება ოქროს ანგარიშით იმ დღის კურსისამებრ, რაც იყო პრეტენზიის აღძვრის დღეს.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭ.
საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმსრ. **ნ. სოკოლხკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის აპრილის 2.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 860 №-ში 1925 წლის აპრილის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 21 ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახ. კომისართა საბჭოსი.

## 413. საზაფხულოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ.

რათა მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ-კის ტერიტორიაზე დამყარებულ იქნეს თანაბარი დრო საზაფხულო პერიოდში მეცადინეობის დაწყებისათვის, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საზაფხულოდ,—1925 წ. მაისის 1-დან ოქტომბრის 1-მდე,—მეცადინეობის დრო სახელმწიფო დაწესებულებებში მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაწესებულ იქნეს 8 საათიდან 14 1/2 საათამდე.

2. ყოველკვირეული დასვენებისა და დღესასწაულების წინადღეს (შრომის კანონთა კოდექსის 109-111 მუხ.) მეცადინეობა ზაფხულის პერიოდში უნდა თავდებოდეს 14 საათზე.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აპრილის 27.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 861 №-ში 1925 წ. აპრილის 28-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 414. ამიერკავკასიის რკინისგზაზე კატასტროფულ შემთხვევებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ.

რათა მოწესრიგებულ იქნეს რკინისგზაზე მოძრაობა და რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ამ მოძრაობის უშიშროება—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის რკინისგზათა გამგეობას ეძლევა უფლება,—როგორც დროებითი ღონისძიება კატასტროფულ შემთხვევებთან ბრძოლისა,—ერთი ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდან მეორე ადგილზე გადაიყვანოს და აგრეთვე უფლებლეს თანამდებობაზე ჩარიცხოს ის პირი, ვინც ურეეია ამიერკავკასიის რკინისგზაზე მომხდარ კატასტროფაში.

2. შემფასებელ-საკონფლიკტო კომისიის მიერ განსახილველ საკითხებიდან გამორიცხოს ის საკითხები, რაც დაკავშირებულ იქნება ამიერკავკასიის რკინისგზაზე მომხდარ კატასტროფასთან.

**შენიშვნა.** მომქმედი კანონით (შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლი) გათვალისწინებული წესი სამსახურიდან დათხოვნისა ძალაში დარჩება.

3. რკინისგზის ტრანსპორტის პროფესიონალურ ორგანოთა თითო წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმის უფლებით შეევა კატასტროფული შემთხვევების გამოკვლევ კომისიებში, რომლებიც არსებობენ როგორც სამმართველოსთან, ისე ამიერკავკასიის რკინისგზის ხაზზე.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ სათანადო ღონისძიებანი, რათა სასამართლოებში წარმოებული საქმეები ა/კ. რკინის გზაზე მომხდარი შემთხვევების შესახებ განხილულ იქნეს რიგს გარეშე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე 1925 წ. აპრილის 27.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 862 №-ში 1925 წლის აპრილის 29-ს.

# დადგენილება ამიერკავკასიის ზომა-წონის მთავარი კომისიისა.

**415. სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და კერძო პირთა მოვალეობის შესახებ, რათა ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მეტრული სისტემის მთავარი კომიტეტების მეშვეობით მოახდინონ შკალისა და სასწორის რემონტი და რუსული სასწორი მეტრულ სასწორად გადაკეთება.**

1. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის ივნისის 28-ს თარიღითა და 41 №-ით გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე კერძო პირი ვალდებულია ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მეტრული სისტემის მთავარი კომიტეტების მეშვეობით მოახდინოს თავისი არასწორმხარიანი სასწორის შკალის რემონტი და რუსული სასწორის სახელწოდების მეტრულ სახელწოდებად გადაკეთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შკალის გადაკეთებისა და სასწორის რემონტისათვის რესპუბლიკათა მეტრული სისტემის მთავარი კომიტეტები გადაახდევინებენ, ფაქტიურად გაწეული ხარჯის მიხედვით, გამოსაღებს, რაც დაწესებულია ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. ივნისის 28 ს თარიღითა და 41 №-ით გამოცემული დადგენილების „ა“ ლიტერის მე-5 მუხლში.

3. ასეთივე გამოსაღები გადაჰხდება,—შკალის გადაკეთების თვითღირებულების ნიხრის მიხედვით, რაც მეტრული სისტემის მთავარ კომიტეტებს აქვთ და რაც დამტკიცებულია ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის მიერ,—დაწესებულებას, საწარმოს და კერძო პირს, რომელიც მოახდენს ან უკვე მოუხდენია შკალის გადაკეთება არა ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის ორგანოებთან (რესპუბლიკათა მეტრული სისტემის მთავარი კომიტეტები), ან რომელსაც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემოუტანია მეტრულ შკალიანი სასწორი.

4. შკალების გადაკეთება უნდა მოხდეს ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის ინსტრუქციისამებრ, რაც აქვთ რესპუბლიკანური მეტრული სისტემის მთავარ კომიტეტებს და ზომა წონის პალატებს.

5. ყველა დაწესებულება, საწარმო და კერძო პირი მოვალეა თავის დროზე შეუდგეს შკალის გადაკეთებას, რადგანაც ახლო მომავალში დაწესებულ იქნება სავალდებულო ვადები მეტრულ სისტემაზე გადასვლისათვის და არა-მეტრულ შკალიანი სასწორის ხმარება, თანახმად ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის აპრილის 24-ს თარიღითა და 24 №-ით გამოცემული დადგენილების მე-12 მუხლისა, აკრძალულ იქნება და ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავეს დაეედება ჯარიმა 200 მანეთამდე, ხოლო აღმოჩენილი, სახმარებლად აკრძალული საზომი და სასწორი ჩამოერთმევა კონფისკაციის წესით.

6. ყველა საჭირო ცნობის მიღება შკალის გადაკეთების საკითხის შესახებ შეიძლება ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის რესპუბლიკანურ ორგანოებში (მეტრული სისტემის მთავარ კომიტეტებში).

მეტრული განყოფილების მმართველი **გუნცაძე**.

საქმეთა მმართველი **მელიქ-ოხიფოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 832 №-ში 1925 წლის მარტის 22-ს.

---

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პროსპ. № 91.

მთავარლიტი № 1001 შეკვეთის № 7555/1224 დაიბ. 800.